

## ნორჩ მკვლევართა კლუბი „ქიმიკოსი XXI“

კლუბის მეურვე: **ნელი ნაოჭაშვილი**, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების წამყვანი მასწავლებელი

კლუბის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 595 71 51 67 (0370) 27 94 20

E-mail: [nelinaochashvili@gmail.com](mailto:nelinaochashvili@gmail.com)

კლუბის სლოგანი

მითხარი და მე დამავიწყდება, მაჩვენე და მე დავიმახსოვრებ, მომეცი საშუალება ჩემით ვიმოქმედო და მე მივხვდები“ - კონფუცი

კლუბის მისია

კლუბის წევრების სხვადასხვა უნარის განვითარება პირადი და ვოლექტიური მეცნიერული გამოცდილების საფუძველზე.

სასკოლო კლუბის მიზანი და მნიშვნელობა:

- საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია და მათდამი ინტერესის გაზრდა;
- მოსწავლეთა თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;
- მოსწავლეების სასკოლო აქტივობებში ჩართვა;
- სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება;

მოსწავლეთათვის

- ორგანიზაციული უნარის ჩამოყალიბება
  - დაგეგმვისა და მართვის
  - გუნდური მუშაობის
- ანალიტიკური აზროვნების განვითარება
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- მოვლენათა შეფასების სწავლება
- კონფლიქტების და პრობლემების მოგვარების უნარის განვითარება
- კომუნიკაციის უნარების განვითარება
- ახალი მეგობრების შექმნა
- ახალი კონტაქტების დამყარება
- პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება

ნორჩ მკვლევართა კლუბის „ქიმიკოსი XXI“  
სამუშაო გეგმა

№	აქტივობის დასახელება	განხორციელების თარიღი
1	კლუბის წევრების შეკრება და ლიდერის და მისი მოადგილის არჩევა	23.09.2019
2	ქ. თბილისში ილიუნის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო პიკნიკში მონაწილეობა	27.09.2019
3	ჩვენ გვინდა ეკოლოგიურად სუფთა გარემო. სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.	ოქტომბერი
4	სახალისო ექსპერიმენტები	ნოემბერი
5	ა) შევავროვოთ მაკულატურა და გადავარჩინოთ ხეები. ბ) ქაღალდის წარმოება	სასწავლო წლის განმავლობაში
6	გასვლითი ღონისძიება გიმნაზიის საბავშვო ბაღში - სახალისო ექსპერიმენტების ჩატარება	დეკემბერი
7	ნარჩენების მეორადი გამოყენება	დეკემბერი
8	პირველი სემესტრის ღონისძიებების განხილვა და ახლის დაგეგმვა	იანვარი
9	ეროვნული პარკების დაცვის დღე. ვირტუალური მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში	იანვარი
10	საპნის წარმოება	თებერვალი
11	მსოფლიო წყლის რესურსების დაცვის დღე	22 მარტი
12	დედამიწის დღე	22 აპრილი
13	ა) ბიომრავალფეროვნების დაცვის დღე ბ) ბუნებრივი ინდიკატორები	22 მაისი
14	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე	ივნისი

## ნორჩ მკვლევართა კლუბი „ქიმიკოსი XXI“

### წესდება

#### 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სასკოლო კლუბი „ქიმიკოსი XXI“ დაფუძნებულია სკოლის ფარგლებში.
- 1.2. კლუბი დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.
- 1.3. კლუბს აქვს სახელწოდება, სლოგანი და ლოგო.
- 1.4. კლუბის იურიდიული მისამართი: საქართველო, გორი, სამეფო ქ. 5

#### 2. კლუბის მიზნები და ამოცანები:

- 2.1. საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია და მათდამი ინტერესის გაზრდა;
- 2.2. სკოლამდელი ასაკის ბავშვებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივება.
- 2.3. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დამკვიდრება;
- 2.4. აქტიური მოსწავლეების აღმოჩენა და მათი კვლევითი უნარების განვითარება;
- 2.5. ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა;
- 2.6. კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების, კონკურსების ორგანიზება;
- 2.7. საქველმოქმედო საქმიანობა;
- 2.8. მოსწავლეთა მიერ ცოდნისა და გამოცდილების შექმნა.
- 2.9. მოსწავლეთათვის ორგანიზაციული და კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და განვითარება;
- 2.10. მოსწავლეთა აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- 2.11. ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება;
- 2.12. სასკოლო პროექტების შემუშავება, დაგეგმა და განხორციელება;
- 2.13. ჯგუფში მუშაობის, გადაწყვეტილების მიღებასა და პრეზენტაციის წარმართვის გამოცდილების შექმნა;
- 2.14. კლუბი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ემსახურება კლუბის მიზნებს, ინტერესებს, ორიენტირებულია შედეგზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

#### 3. კლუბში გაწევრიანება:

- 3.1. კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია;
- 3.2. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს სკოლის VIII–XII კლასის მოსწავლე, რომელიც იზიარებს კლუბის მიზნებს.
- 3.3. კლუბის წევრობის მსურველმა უნდა მიმართოს კლუბს წერილობითი ფორმით (განცხადებით) და შეავსონ ანკეტა;
- 3.4. კლუბის წევრებზე გაიცემა კლუბის წევრის მოწმობა.
- 3.5. კლუბში გაწევრიანებაზე გადაწყვეტილება მიიღება კლუბის მეურვის მიერ.
- 3.6. კლუბის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, დაიცვას წესდების მოთხოვნები, შეასრულოს დავალებები და კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
- 3.8. კლუბის წევრს უფლებამოსილება უწყდება პირადი განცხადების საფუძველზე, ასევე კლუბის საერთო კრების გადაწყვეტილებით, როდესაც მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კლუბის მიზნებს და უხეშად არღვევს აღნიშნული წესდების დებულებებს და სკოლის დამთავრების შემდეგ.

#### 4. კლუბის სტრუქტურა, მართვა და გადაწყვეტილებების მიღება:

- 4.1. კლუბი შედგება კლუბის წევრებისგან;
- 4.2. კლუბს ხელმძღვანელობს „მეურვე“ რომელიც არის სკოლის პედაგოგი. იგი უფლებამოსილია უხელმძღვანელოს კლუბის საქმიანობას, ერთპიროვნულად;
- 4.3. კლუბის საერთო კრება უფლებამოსილია ხმათა უმრავლესობით : დამტკიცოს სამოქმედო გეგმა, დაამტკიცოს კლუბის წესდება, აირჩიოს კლუბის ლიდერი;
- 4.4. კლუბის ლიდერი ირჩევა 1 სასწავლო წლის ვადით;

4.5 ერთიდაიგივე კანდიდატი კლუბის ლიდერად შეიძლება არჩეულ იქნას 2 ვადით.

5. კლუბის მუშაობა

5.1. კლუბი იკრიბება არანაკლებ თვეში ერთჯერ, გარდა არდადეგების პერიოდისა;

5.2. კლუბის შეკრებები ფორმდება ოქმით.

6. კლუბის რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა:

6.1. კლუბის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გამოყოფა გარდაქმნა) ხორციელდება ამ დებულებით და ფორმდება ოქმით;

6.2 კლუბის ლიკვიდაცია ხდება საერთო კრების გადაწყვეტილებით ან მიზნებისმილწევის შემთხვევაში.

7. დასკვნითი დებულება:

7.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის კლუბის ამოქმედებისთანავე.

7.2. ამ წესდებაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით.